პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-7 წელი

№ 1 (442) პარასკევი, 5 იანვარი, 1951 წ. ფასი 30 კაპ.

603
2

ნახატი ლ. ასლანიშვილისა.

მტკიცე ნაბიჯით, კომუნიზმისაკენ!

კალენდარის ფურცელმა, რომელსაც ეწერა „31 დეკემბერი, 1950 წ.“, დახურა XX საუკუნის პირველი ნახევარი... დადგა ახალი წელი, და კაცობრიობამ საუკუნის მეორე ნახევარში შეაღო კარი.

ამ ბედნიერ წუთებში საბჭოთა ხალხმა აღტაცებით ასწია ტრადიციული საახალწლო სადღეგრძელო და მრავალჟამიერ სიცოცხლე უსურვა ბრძენ ადამიანს, საყვარელ მეგობარსა და მასწავლებელს, გენიალურ ბელადს, მშვიდობის მებაირახტრეს მთელ მსოფლიოში—დიდ სტალინს...

ჩვენი სამშობლოს მშრომელები სიამაყის გრძნობით იხსენიებენ იმ სახელოვან გზას, რომელიც მათ განვლეს საუკუნის ნახევარში.

უსაზღვროა საბჭოთა ხალხის სიყვარული და ერთგულება დიდი სამშობლოსადმი, უსაზღვროა საბჭოთა ხალხის რწმენა და თავდადება ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი... მშობლიური სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ მივდივართ ნათელი მიზნისაკენ — კომუნიზმის ბრწყინვალე შენობისაკენ.

დიდი მიღწევები მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა გასულ, 1950 წელს. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის უკანასკნელი წელი მათ ახალი გამარჯვებებით აღნიშნეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტებზე. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, სტალინის გენიის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა გასულ წელს არნახულ წარმატებებს მიაღწია... ცხოვრება წინ მიდის; ბუნება, ხმელეთი იცვლის თავის სახეს: უდაბნოებსა და ხრიოკ ველებს წყლით აქაფებული არხები გადასერავს, ვოლგაზე ბუმბერაზი ელსადგურები წამოიმართებიან, ვოლგა დონს შეუერთდება... ამხანაგებო, უკვე მოჩანს კომუნიზმის დიადი შენობის კონტურები!

1950 წელი მშვიდობისათვის მებრძოლთა ფრონტის კიდევ უფრო განმტკიცების წელი იყო მთელ მსოფლიოში. ამავე დროს გაიზარდა ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტი, ქვეყნისა, რომელიც სათავეში უდგას მშვიდობისათვის შეუპოვარ ბრძოლას დედამიწის ზურგზე.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა. მზიური საქართველოს ცაფირუზის ქვეშ სულ უფრო ზურმუხტოვანი ხდება ხმელეთი...

ამ გამარჯვებებში, რომელიც მოპოვებულია ჩვენს რესპუბლიკაში საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში, ახალმშენებლობებსა და ტრანსპორტზე, თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს.

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც წარმატებით იბრძვიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის ისტორიული დადგენილების შესრულებისათვის, გასულ წელს თვალსაჩინო მაჩვენებლები მოიპოვეს მასობრივი ფიზკულტურის შემდგომი აღმავლობის დარგში.

შესანიშნავი გამარჯვებებით საკავშირო სარბიელზე ასახელეს რესპუბლიკა საქართველოს სპორტსმენებმა — თბილისის „დინამოს“ კალათბურთელმა ვაჟებმა, თბილისის „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ოსტატ ფეხბურთელებმა, მოჭიდავეებმა და შტანგისტებმა, მამაცმა ალპინისტებმა, შხელდა-უშბას სარეკორდო ტრავერსის მონაწილეებმა, ნორჩმა სპორტსმენებმა — გოგონათა კალათბურთის გუნდმა, მოფარიკავეებმა, ფეხბურთელებმა...

აი ციფრები, რომლებიც თვალნათლივ მეტყველებენ ჩვენს მიღწევებზე. 1950 წელს საქართველოს წარმომადგენელთაგან არიან: ევროპის 4 ჩემპიონი, სსრ კავშირის 15 ჩემპიონი, სსრ კავშირის 5 რეკორდსმენი, 2 მსოფლიო რეკორდსმენი.

დადგა ახალი, 1951 წელი!

ყოველი ახალი წელი ახალი ნაბიჯია, გადადგმული წინ — კომუნიზმისაკენ. მაშ მტკიცე იყოს ეს ნაბიჯი! სტალინის ხელმძღვანელობით წინ, ნათელი მიზნისაკენ!

შენი სახელი მზესთან დარჩება!

მრავალს და მრავალს
გარჯას, სიხარულს,
ბრძოლას,
მიღწევას
და გამარჯვებას!
მრავალ ახალ ძეგლს
შენს ხელთ ქმნილს,
უკვდავს,
დროთა მსვლელობას
რაც გადარჩება!
მრავალ ახალ ვაზს
და ხვავს გილოცავ,
სამშობლოვ,
ვალი არ დაგედება!
ვაშა შენს ნაყოფს,
შენს აზრის ნათელს,
შენს ხელბედნიერ
შემოქმედებას!
გიბედნიეროს
მზის დარი შვილი!
მისი სადარი
მითხარ სად არი!
დიდი მებრძოლი
და შემოქმედი,
ბრძენი ბელადი,
მამა, სარდალი.
განა ვინ არის,
განა ვინ იტყვის
ვინ სთქვას დიდება
ქვეყნად იმ ერთის!
და მხოლოდ მისით,
სახელით მისით,
გულთან უჭირავს
ყველას იმედი!
სამშობლოვ,
შენი უბის შვილია
და მისთვისაც ხარ
თავმომწონარი!
ვინ დაიქადოს
შენებრ სიუხვე,
მადლი, სიკეთე,
აუწონარი!
ჩემო სამშობლოვ,
გამიღე კარი,
მზესთან ხარ მდგარი!
მზესთან ხარ მდგარი!
შენი სახელი
მზესთან დარჩება!
ვის ულოცავენ
რომელს, ამ ქვეყნად,
შენებრ
დიდებას და გამარჯვებას.

გიორგი ლეონიძე

◆

6 უღელტეხილის გავლით

ჩატარდა მოტოგადარბენა, რომელიც მიეძღვნა ხალხთა შორის სტალინურ მეგობრობას.

გადარბენის ტრასა მეტად რთული იყო. მარშრუტი თბილისი—ყაზახი—იჯევანი — არზენა — დილიჟანი — კიროვაკანი — სტეფანავანი — კალინინო — დმანისი — ბოლნისი — თბილისი, სამი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე გადიოდა. გადარბენის მონაწილეებმა ძნელ მეტეოროლოგიურ პირობებში გადალახეს 6 უღელტეხილი, მათ შორის 4 თოვლიანი.

მოტოგადარბენის მონაწილეებს ძმური რესპუბლიკების — სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა გზაში უწყობდა საზეიმო შეხვედრას, მიტინგებს.

ვ. ნავრუზაშვილი,
გადარბენის კომანდორი.

ა. ხოხიაშვილი,
გადარბენის კომანდორის თანაშემწე პოლიტდარგში.

1951 წელს...

ავიმაღლებთ სპორტული მომზადების დონეს

განვლილი წელი საკმაოდ „მოსავლიანი“ იყო ჩვენი გუნდისათვის. ყველა შეჯიბრებაში, რომელშიც კი მივიღეთ მონაწილეობა, საუკეთესო ადგილები დავიკავეთ. ჩვენს სკოლას მრავლად შეემატა თასები, ვიმპელები, დიპლომები, სიგელები. ყველაზე დიდი ჯილდო, რასაკვირველია, არის ჩვენს მიერ მოპოვებული მოზარდთა საკავშირო თასი ფეხბურთში.

ჩვენი მეგობრული გუნდის მთავარი ამოცანაა 1951 წელსაც შევინარჩუნოთ მიღწეული წარმატებები, უფრო ავიმაღლოთ სპორტული მომზადების დონე, მეტი გულმოდგინება და მონდომება გამოვიჩინოთ სწავლაში და სპორტში.

თენგიზ მიქაძე,
თბილისის 35-ე ვაჟთა საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი.

მსურს სპორტის ოსტატი გავხდე

კრივი ბავშვობიდანვე მიტაცებდა. მთელი საათობით სულგანაბული ვუყურებდი მოკრივეების ვარჯიშსა და შეჯიბრებებს. 1948 წელს დავიწყე მეცადინეობა ქუთაისის ბავშვთა სპორტსკოლის კრივის სექციაში. ერთი წლის შემდეგ მონაწილეობა მივიღე პირველ ოფიციალურ შეჯიბრებაში. მას შემდეგ რეგულარულად ვმეცადინეობ მწვრთნელის ი. მარქაროვის ხელმძღვანელობით.

1950 წელს ჩემთვის გული არ დაუწყვეტია. ორჯერ მოვიპოვე საქართველოს ჩემპიონის წოდება — ჯერ მოსწავლეთა შორის, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის მჩატე წონის უძლიერეს მოკრივეთა შორის.

მოვიპოვო სპორტის ოსტატის წოდება — ასეთი ამოცანა დავისახე 1951 წლისათვის.

რევაზ ლომიძე,
საქართველოს ჩემპიონი კრივში.
ქუთაისი.

ჩემი მიზანი

მუდამ მიზიდავდა ლაჟვარდოვანი ზღვის ღელვა. ოცნებად გადამექცა მისი თვალუწვდენელი სივრცის დაძლევა. ჯერ კიდევ სულ პატარა ვიყავი, როცა შევუდექი რეგულარულ მეცადინეობას ცურვის სექციაში და აი, სისტემატურმა წვრთნამ სასურველი შედეგი გამოიღო — რამდენიმე რესპუბლიკური რეკორდი დავამყარე მოზარდთა შორის.

1950 წელს სამშობლოს მივუძღვენი რამდენიმე ახალი რესპუბლიკური მიღწევა. განსაკუთრებული წარმატება მხვდა წილად სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო შეჯიბრებაზე: საქართველოს რეკორდების ცხრილში ორი შესწორება შევიტანე: 100 და 200 მეტრზე გვერდზე ცურვაში—1:29,1 და 3:12,7. ამ შედეგით მოვხვდი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოცურავე ქალთა ათეულში.

ჩემი მიზანია 1951 წელს მოვიპოვო ახალი წარმატებები და დავიმსახურო სპორტის ოსტატის წოდება.

ლია ფაჩულია,
საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში.

ვიბრძოლებ ხუთეულში მოხვედრისათვის

სპორტის ყველა სახეობიდან ჭიდაობა მეტად მაინტერესებს. გადავწყვიტე სრულყოფილად დავეუფლო მას. ენერგიული მეცადინეობით წარმატებებიც მოვიპოვე: ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე შარშან დავამარცხე ისეთი ძლიერი ოსტატი, როგორიცაა ბაქოელი მახარაძე და მოვიპოვე ჩემპიონის საპატიო სახელი.

კარგ შედეგებს მივაღწიე საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის გათამაშებაში კლასიკურ ჭიდაობაში. აქ დავამარცხე რა ოსტატები დადაშევი და კუზნინი, შევასრულე სპორტის ოსტატის სათანრიგო მოთხოვნა.

1951 წელს განზრახული მაქვს მოვხვდე ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭიდავეთა პირველ ხუთეულში.

ივანე ფირცხალაიშვილი,
საქართველოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში.

100 მეტრი — 10,8 წამში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დაწყებიდანვე ჩავეწერე მძლეოსნურ სექციაში. მალე სექციის მწვრთნელის ა. კონსტანტინოვის მზრუნველობითა და ჩემი დაუღალავი მუშაობით არც თუ ისე ცუდ შედეგებს მივაღწიე მოკლე დისტანციებზე რბენაში, მაგრამ როგორც ყველა ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენი, დაუღალავად ვიბრძვი უკეთესი შედეგებისათვის

წარმატება მხვდა წილად 1950 წელს საქართველოს რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე, სადაც გამარჯვებული გამოვედი 100, 200 და 400 მეტრზე რბენაში და მოვიპოვე საქართველოს ჩემპიონის ტიტული.

ახალ სპორტულ სეზონში არ დავიშურებ ენერგიას, რათა ვაჩვენო 100 მეტრზე 10,8 წამი, ხოლო 200 მეტრზე 22,1 წამი.

რევაზ ტრაპაიძე,
საქართველოს ჩემპიონი მძლეოსნობაში.

შევინარჩუნებ ჩემპიონობას

ჩოგბურთს 1945 წლიდან ვთამაშობ. 1947, 1948, 1949 წლებში ვიყავი საქართველოს ჩემპიონი უმცროსი ასაკის გოგონებს შორის. გასული წლიდან დავიწყე უფროსი ასაკის გოგონებს შორის შეჯიბრებებში მონაწილეობა და რესპუბლიკის ჩემპიონიც გავხდი. შარშან კარგ შედეგებს მივაღწიე საკავშირო შეჯიბრებებშიც: გ. ჩახუნაშვილთან ერთად მესამეჯერ მოვიგე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოზარდთა შორის შერეულ წყვილში.

ვეცდები 1951 წელსაც შევინარჩუნო ჩემპიონის საპატიო წოდება, ოქროს მედალზე დავამთავრო საშუალო სკოლა და სწავლა განვაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ლამარა კოკაია,
თბილისის ქალთა მე-16 სკოლის ხუთოსანი მოსწავლე.

კვლავ სწავლასა და სპორტში

ბავშვობიდანვე შემიყვარდა სპორტი და იგი ჩემი ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა.

ძნელი სათქმელია სპორტის რომელ სახეს ვეტრფი ყველაზე მეტად, — მაქვს თანრიგი მძლეოსნობაში, თხილამურებში, კალათბურთში, ალპინიზმში, ფრენბურთსა და ცხენოსნობაში. განსაკუთრებით მიტაცებს ცხენოსნობა და მას ყველაზე მეტ დროს ვანდომებ.

სპორტი დიდად მეხმარება სწავლაში. შარშან დავამთავრე მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი, წელს ვამთავრებ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს ქირურგიული განხრით, ამავე დროს ვსწავლობ მუსიკალურ ტექნიკუმში.

დროის რაციონალურად განაწილება საშუალებას მაძლევს თანაბარი წარმატებით მოვასწრო სპორტშიც და სწავლაშიც.

ნომა როგერტი,
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის VI კურსის ხუთოსანი სტუდენტი.

ფეხკაცური ასპარეზობა

საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში

გორი. (ჩვენი სპეც. კორ.). ქალაქის სახელმწიფო თეატრის შენობაში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს 1950 წლის პირადი პირველობის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში.

რესპუბლიკის 18 რაიონის 80 წარმომადგენელი სპორტის ამ ეროვნულ სახეში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა. ხალიჩაზე დიდი წარმატება ხვდა ანალგაზრდობას, რომელმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია გამოცდილ ოსტატებს და უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებები მოიპოვა.

საქართველოს ჩემპიონის წოდება დაისაკუთრეს: უმჩატეს წონაში ლ. კაკიაშვილმა (თბილისი), მჩატე წონაში ი. მასხულიამ (ლანჩხუთი), ქვემსუბუქ წონაში შ. გურგენიძემ (გორი), მსუბუქ წონაში ვ. ბალავაძემ (თბილისი), ქვესაშუალო წონაში ს. მასურაძემ (თბილისი), საშუალო წონაში დ. ჩაჩანიძემ (თბილისი), ქვემძიმე წონაში ბ. თედეევმა (თბილისი), მძიმე წონაში ს. ბადურაშვილმა (თიანეთი).

განსაკუთრებით საინტერესოდ ჩატარდა მსუბუქი წონის მოჭიდავეთა 1949 წლის ჩემპიონის ს. ბახტაძისა და ვ. ბალავაძის ფინალური შეხვედრა.

... ზურნის ხმაზე შეეჭიდნენ ერთმანეთს სპორტსმენები. ბალავაძე ცდილობს მოწინააღმდეგეს თავისი ტაქტიკა მოახვიოს, ბახტაძე კი აქტიური ბრძოლით ქულების დაგროვებას ლამობს. აი, ბალავაძემ ელვის სისწრაფით ორი საწინააღმდეგო ფანდი ჩაუტარა მეტოქეს, რამაც დაამარცხა ბახტაძე და 3 წუთისა და 12 წამის შემდეგ ჩემპიონი ბეჭებზე აღმოჩნდა.

შეჯიბრებისათვის კარგად მოემზადნენ საგარეჯოს მოჭიდავეები, რომელთა ტექნიკურ-ტაქტიკური დონე საგრძნობლად გაიზარდა.

გორელი მოჭიდავეები ყოველთვის წამყვანნი იყვნენ რესპუბლიკაში, მაგრამ ამჯერად ისინი თავიანთ შესაძლებლობებთან შედარებით სუსტად გამოიყურებოდნენ. გორელმა მოჭიდავეებმა ვ. ნასყიდაშვილმა (მძიმე წონა) და ს. ბახტაძემ (მსუბუქი წონა) დაკარგეს რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი. აგრეთვე სუსტად იყვნენ მომზადებული სოხუმის, ქუთაისისა და ახმეტის რაიონის წარმომადგენლები.

ჩატარებულმა შეჯიბრებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის რაიონებში ქართული ჭიდაობა სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს.

ი. მღებრიშვილი

შესანიშნავ წარმატებას მიაღწია თბილისში ამას წინათ ჩატარებულ ძალოსანთა ასპარეზობაში ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა ი. დუგანოვმა. ახალგაზრდა ნიჭიერმა შტანგისტმა ორი ხელით აიტაცა შტანგა, რომელიც იწონიდა 128,5 კილოგრამს. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია საშუალო წონის შტანგისტებისათვის. **სურათზე:** ი. დუგანოვი სარეკორდო წონის შტანგის ატაცის მომენტში.

ფოტო ა. ვართანოვისა.

საბჭოთა და ჩინელ კალათბურთელთა ამხანაგური მატჩები

როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კალათბურთელთა დელეგაცია.

28 დეკემბერს შედგა პირველი ამხანაგური მატჩი საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის ნაკრებ გუნდს შორის.

საბჭოთა სპორტსმენებს გულთბილად მიესალმა ჩინეთის ახალგაზრდობის ახალი დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე ლიაო ჩენ-ცი. საპასუხო სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი ა. რომანოვი.

თამაშმა პირველი წუთებიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 26:20 საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა სასარგებლოდ. მეორე ნახევარში ბრძოლა უფრო გამძაფრდა. მატჩის საერთო ანგარიშია 56:43 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

საბჭოთა სპორტსმენებმა მეორე მატჩი ჩაატარეს პეკინის სტუდენტთა ნაკრებ გუნდთან. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 60:21 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

მესამე მატჩი საბჭოთა კალათბურთელებმა ჩაატარეს პეკინის ფიზკულტურულ მუშაკთა ნაკრებ გუნდთან. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 62:21 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ. შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები მეორედ შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის ნაკრებს და მოიპოვეს გამარჯვება — 91:17.

ფიზკულტურული საღამო

ამ დღეებში საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომმა და ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა ძერჟინსკის სახელობის კლუბში მოაწყეს დიდი სპორტული საღამო, მიძღვნილი საქართველოს ალკკ XVIII ყრილობისადმი. მოხსენებით რაიონში ფიზკულტურული მუშაობის შესახებ საღამოზე გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის მდივანი ამხ. ე. ვადაჭკორია.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ მსოფლიო რეკორდსმენი სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე, სსრ კავშირის რეკორდსმენი სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი ჭაბუკთა შორის მ. გვბეშიძე და სხვები.

მოეწყო აგრეთვე რესპუბლიკის მოწინავე ფიზკულტურელების საჩვენებელი გამოსვლები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

სპორტული ზამთრის მოსვლას არ ელოდნენ

სპორტის ზამთრის სახეები სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობაში დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ ოლქის ფიზკულტურული ორგანიზაციები მოუმზადებლად შეხვდნენ საზამთრო სეზონს.

სამხრეთ ოსეთში სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის შესანიშნავი პირობები არსებობს, სამწუხაროდ ამ მდიდარი შესაძლებლობების გამოყენებაზე არავინ ზრუნავს. ამავე დროს არავითარი ყურადღება არ ექცევა დახურული საზამთრო ბაზების კეთილმოწყობას, სპორტული ინვენტარით მათს შევსებას. ყოველივე ეს დიდად უშლის ხელს მძლეოსნების, ტანმოვარჯიშეების, ძალოსნების, ფეხბურთელებისა და სხვათა სისტემატურ წვრთნას ზამთარში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტალინირის პირველ, მე-3, მე-4 საშუალო სკოლებს, ოლქის მთელ რიგ სხვა სკოლებს სრულებით არ გააჩნიათ სპორტული დარბაზი და ფიზკულტურის გაკვეთილები ზამთრის პერიოდში ამ სკოლებში ფორმალურად ტარდება.

მოუმზადებელი შეხვდა ზამთარს სტალინირის სახელმწიფო პედინსტიტუტიც. მიმდინარე წელს კაპიტალურად გარემონტდა ინსტიტუტის შენობა, მაგრამ დირექციას მხედველობიდან გამორჩა... სპორტდარბაზის შეკეთება, [illegible] ვად გამოიყურება.

სტალინირის ვაჟთა მე-2 რუსულ სკოლას ახლო წარსულში მშვენიერი სპორტული დარბაზი ჰქონდა, მაგრამ სკოლის დირექციამ იგი კლუბად გადააკეთა. სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს განათლების განყოფილებამ სპეციალური დადგენილება გამოიტანა დარბაზში სცენის მოშლის შესახებ, მაგრამ დადგენილება დღემდე არაა განხორციელებული.

შედარებით კარგად მოემზადა ზამთრის სეზონისათვის სტალინირის ბავშვთა სპორტული სკოლა (დირექტორი ამხ. ს. გასიევი). შეკეთებულ იქნა სკოლის სპორტული დარბაზი, გაიზარდა სექციების რიცხვი. სპორტსკოლის დირექციამ შეიძინა 40.000 მანეთის სპორტული ინვენტარი: რინგი, საჭიდაო ხალიჩა, ბურთები, ტანვარჯიშული იარაღები და სხვ.

თუ სტალინირის ბავშვთა სპორტული სკოლა კარგი მუშაობის მაგალითს გვიჩვენებს, ასე არ ითქმის ლენინგორის სპორტსკოლის შესახებ.

სამხრეთ ოსეთში დადგა სპორტული ზამთარი. ავტონომიური ოლქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მოკლე დროში უნდა აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებები.

ნ. ზადიშვილი

სტალინირი.

სად ივარჯიშონ?

მახარაძის რაიონის სოფ. მაკვანეთისა და ნაგომრის საშუალო სკოლები მოუმზადებლად ხვდებიან საზამთრო სპორტულ სეზონს. მოსწავლე ფიზკულტურელებს არა აქვთ სავარჯიშო დარბაზები, სპორტული ინვენტარი.

აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელობა და ფიზკულტურის მასწავლებლები დ. ქორიძე და ე. გოგოძე გულგრილად შესცქერიან ამ ფაქტებს.

კ. ჩხაიძე

მახარაძის რაიონი

ღია ცის ქვეშ

სოხუმის ბერიას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა მაქსიმალურად იყენებს თბილ ამინდებს ღია ცის ქვეშ მეცადინეობის ჩასატარებლად.

საინტერესო იყო უცხო ენების ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ გამართული ხუთკილომეტრიანი სრბოლა-შეჯიბრება, რომლის ყველა მონაწილე ჩაეტია მათ I საფეხურის ნორმებში.

ა. წიქარიძე

სოხუმი

გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ

გაზეთ „ლელოს“ 1950 წლის 48-ე ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომელიც შეეხებოდა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის, რკინიგზის კვანძისა და ლიტოპონის ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივების საზამთრო სპორტული სეზონისათვის ცუდ მომზადებას.

ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ჩოგოვაძე გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახა და ცხოვრებაში გაატარა ღონისძიებანი, რის შედეგად აბრეშუმის კომბინატმა შეიძინა 2.800 მანეთის, ხოლო ლიტოპონის ქარხნის ფიზკოლექტივმა 1.500 მანეთის სპორტული ინვენტარი; აბრეშუმის კომბინატში ეწყობა საზამთრო სპორტული დარბაზი.

ამავე დროს ამხ. ჩოგოვაძე გვწერს, რომ რკინიგზის კვანძის და ზოგიერთი სხვა საწარმოების სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები დღემდე არ ღებულობენ საჭირო ზომებს ფიზკულტურის კოლექტივების ზამთრის პერიოდში ნორმალური მეცადინეობის უზრუნველსაყოფად, რის გამოც საკითხი დასმულია პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში.

სპორტის ისტორიიდან

მუშაითობა

ძველი ქართული სპორტის სახეობათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მუშაითობა. სპორტის ეს ძველთაძველი სახე ხშირად სცილდებოდა თავის ფარგლებს და თავდაცვითს ბრძოლებში მეტად პასუხსაგებ სამხედრო დავალებების შესრულების დროს იხმარებოდა კიდევაც.

ამიტომ იყო, რომ მარადჟამს მარბიელი მტრებით გარემოცული ჩვენი წინაპარნი ბავშვებს პატარაობიდანვე აჩვევდნენ მუშაითობას — ხელების ადგილმონაცვლებით საბელის გავლას და გაჭიმულ თოკზე სიარულს.

გაიხსენეთ „ვეფხის ტყაოსნიდან“ ფრიდონის სიტყვები ქაჯეთის ციხის აღების წინ თათბირზე:

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი
სამუშაითოდ მზრდიდიან,
მასწავლეს მათნი საქმენი,
მახტუნებდიან, მწვრთიდიან...“

მუშაითობის ხელოვნებაში შედიოდა სამი აქტი: 1. საბელის, ე. ი. თოკის ტყორცნა, 2. ხელების ადგილმონაცვლებით საბელის გავლა, 3. გაჭიმულ თოკზე სიარული ხელების დაუხმარებლად.

მეფე თეიმურაზ პირველს 1639 წლის აღდგომა დღეს მუშაითობით შეუქცევია რუსი ელჩი არსენი სუხანოვი, რომელმაც შემოგვინახა ამის შესახებ მეტად საინტერესო ცნობა: „მეფის სადილზე თამაშობდა ორი მასხარა — ერთი ზურნით, მეორე დაფით და იყო წარმოდგენა, სიარული თოკზე. მიწაში ჩასობილ ექვსი საჟენის სიმაღლის ბოძზე გადაკიდებული იყო თოკი, რომელზედაც ზევიდან ქვევით გლეხი დადიოდა, ფეხებით ჩამოკიდებულიყო თოკზე და ხელებით ტაშს უკრავდა. გაბმულ თოკზე სიარულისას კი ხელებში ეკავა 2½ საჟენის სიგრძის ჯოხი“ (ბელოკუროვი. „არსენი სუხანოვი“. გვ. 141–142).

პოეტი თეიმურაზ მეორე ასე აგვიწერს სახალხოდ მოწყობილ მუშაითობას:

„სხვის მოთამაშის მრავალთა
მომსხმელი ჯამბაზებითა,
საბელზედ გავლენ კისკასად
სიფიცხით ფარხმალებითა“...

სახელოვანი პოეტი არჩილი თავის თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“ შემდეგს წერს ერთ-ერთ ერტოუხ მუშაითზე: „წმინდას შალზედ გაირბენდა, კაცთ ჰაერში დანაჰპირსა, თამაშობდა უცხოებსა, ამათ უფრო გასაჭირსა“.

საჯარო მუშაითობა ეწყობოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ყაბახზე — დღევანდელი კომუნარების სახელობის ბაღის ადგილას. მიხეილ თუმანიშვილი წერდა: „საღამოს ჟამს ჩაველ ყაბახზე. მუზიკა იკვროდა და იყო დიდი ხალხის დენა. იქ წარმოადგენდნენ თავიანთს ხელოვნებას ჯამბაზები. დაიწყეს გაჭიმულს თოკზე ხტომა ქალებმა და კაცებმა“ (ჟურნალი „ცისკარი“. 1858 წ. № 1).

XIX საუკუნის ორმოციან წლებში, დღევანდელი საკოლმეურნეო ბაზრის მიდამოებში „საზანდარი თავისუფლად მღეროდა საიათნოვას მუხამბაზებს, ერთ მხარეს ჯამბაზი გადადიოდა თოკზე, მეორე მხარეს ცნობილი აბელა იდგა ოჩოფეხებზე და ხალხს აცინებდა“ (ი. გრიშაშვილი. „ბერიას მოედანი“. 1946 წ. გვ. 10–11).

კიდევ მრავალი ცნობის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია. დასასრულ აღვნიშნავთ, რომ მუშაითობის როლი დიდია ალპინიზმშიც.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება უძველესი სპორტის ამ მეტად სასარგებლო და გამოყენებითი სახის გავრცელებასა და განვითარებაზე.

ი. გალახაშვილი

ახალი წლის წინა დღეს

1950 წლის **31** დეკემბერი. ამ დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სპორტული ასპარეზობა გაჩაღდა. თუ ზღვის სანაპირო ქალაქების სპორტსმენებმა აფრიანი ხომალდებით შესცურეს ზღვაში, ქართლისა და კახეთის საჭიდაო სარბიელებზე ახოვანი მოჭიდავენი ისინჯავდნენ თავიანთ ძალღონეს. **სურათზე:** სოხუმელი ფიზკულტურელები ზღვაზე.

ფოტო ა. წიქრიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

ნემსი თუ ორძელი?

ჭრა-კერვის ცოდნას რა ჯობია! გაცვია შენს გემოზე გამოჭრილი და შენივე ხელით შეკერილი ტანსაცმელი. არც მკერავის ძებნა გინდა, არც მასთან ჩხუბი და აყალმაყალი გაფუჭებული მატერიისათვის.

დაჯექი და კერე! იაფიცაა და მოხერხებულიც.

მოკლედ, კარგი და სასარგებლო საქმეა ჭრა-კერვა.

ამაში სრულიადაც ეჭვი არ ეპარება სოხუმის ექიმთა სახლის დირექტორს ამხ. ა. ხორავას. რა ქნას, უყვარს ეს საქმე, ცდილობს დანერგოს იგი მოსახლეობის ფართო ფენებში.

ჭრა-კერვის რთული ხელოვნების მოტრფიალე, ნემსისა და ძაფის თაყვანისმცემელი დიდ გეგმებს ითვალისწინებს და ასრულებს კიდეც ჩანაფიქრს; ენერგიულად, დიდი ორგანიზატორული გაქანებით მუშაობს. შეიძინა ნემსები (სხვადასხვა ზომის), ძაფი (სხვადასხვა ფერის), სანტიმეტრები (ხისა და მუშამბის), საკერავი მანქანები (ხელისა და ფეხის), მაკრატლები (დიდი და პატარა), ტრაფარეტები (ქალისა და კაცის) და სხვ. ამუშავდა მკერავთა სექცია, გრიალებენ საკერავი მანქანები, მარდ თითებში ელავენ ნემსები, საამოდ შრიალებს ნაზი ფართალი, სიგულდაგულოდ გათლილი ცარცით იხატება უკანასკნელი მოდის ზღაპრული ფორმები. სექციის ხელმძღვანელი, გამოცდილი მკერავი, დიდად დიდი მომეცადინეთა შორის და ავტორიტეტულ მითითებებს იძლევა.

ვგრძნობთ მკითხველის გაკვირვებას—რა საქმე აქვს „ლელოსთან" მკერავთა სექციას? აქ არც ღერძია, არც ორძელი, არც ბურთი, არც ჭიდაობა.

ჩვენც იმას ვწუხვართ, რომ აქ არც ერთი მათგანი არ არის. უნდა იყოს კი.

ქალაქ სოხუმში არის ექიმთა სახლი, რომელშიც საუკეთესო სპორტული დარბაზია მოწყობილი. სოხუმის სპორტსმენები მაინცდამაინც არ არიან განებივრებული ზამთრის სპორტული ბაზებით და დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ დარბაზზე.

მაგრამ...

აქ იწყება გრძელი და გაუთავებელი ამბავი: სხვადასხვა სექციის დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლა, რომლის მთავარი მსაჯია ამხ. ა. ხორავა. მას სიამოვნებით მივაკუთვნებდით მკერავთა კატეგორიის მსაჯის წოდებას, რომ ასეთი არსებობდეს.

ერთ მხარეს არიან სოხუმის „მედიკის" სპორტსმენები, ხოლო მეორეზე ჭრა-კერვისა და ინგლისური ენის შემსწავლელი წრეები, რომელთაც ასე უსირცხვილოდ დაისაკუთრეს სპორტული დარბაზი.

პირდაპირ ვიტყვით, მსაჯი დიდად ავტორიტეტული და გავლენიანია, მაგრამ ბრძოლას არაობიექტურად სჯის:

— რა დროს ხტომა და თამაშია, რის ფიზკულტურა, რა სპორტი?! აგერ მინდორი და ველი, წადით, იხტუნეთ და ითამაშეთ დილიდან დაღამებამდე.

ტანმოსული, ბრგე ვაჟკაცები შიშით უყურებენ დამლაგებელ ქალს, დირექტორის ყოვლისშემძლე ბრძანებების ამსრულებელს, რომელიც მათ სპორტდარბაზში არ უშვებს და სპორტსმენებიც ვერ ბედავენ პროტესტს... მსაჯთან შელაპარაკება ხომ ნებადართული არ არის.

ვთქვათ, მსაჯი არაობიექტურია, რაღას ფიქრობენ „მედიკის" ხელმძღვანელები და ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციები?

ბ. კორკია

ჩვენი მკითხველები გვწერენ

კასპის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის გადაწყვეტილებით ფეხბურთის მოედნისათვის ქვიტკირის გალავანი უნდა გაეკეთებიათ. მაგრამ რატომღაც ეს გადაწყვეტილება ქაღალდზე დარჩა. დღეისათვის მოედანი საქონლის საძოვრად და საურმე გზად არის გამოყენებული.

ო. კიკნაძე

კასპი.

• • •

ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგაულის) რაიონის ფეხბურთის სტადიონი კეთილმოუწყობელია, ის სავსეა ქვიშიანი სილით. არც კალათბურთის მოედანია წესრიგში. რაიონს არ გააჩნია სპორტული დარბაზი.

ქ. ონიაძე

ორჯონიკიძის რაიონი.

მოკლე ცნობები

ბათუმი. სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" დარბაზში ჩატარდა შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში ქალაქის პირველობაზე. თავიანთ წონით კატეგორიებში ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ნ. ტილიკამ, ნ. ფრანგიშვილმა, რ. ხაზარაძემ და სხვ.

პ. მახვილაძე

* * *

მახარაძე. 17 კოლექტივი იბრძოდა რაიონის გარდამავალ თასზე ფეხბურთში. საპატიო ჯილდო მოიპოვა ქალაქის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა.

ჩ. კალაძე

• • •

ზესტაფონი. აქ ჩატარდა ვაჟთა პირველი სკოლისა და პედაგოგიური ტექნიკუმის მოსწავლე ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრება. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა პირველი სკოლის მოსწავლეთა გუნდის გამარჯვებით — 3:2.

ქ. ფოცხვერაშვილი

ახალი წლის წინა დღეს

... ამ დღეს სულ სხვა წარმტაცი სურათი გადაეშალეთ სპორტსმენებს ბაკურიანის თოვლიან ფერდობებზე. აქ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, სვერდლოვსკისა და სხვა ქალაქების მთხილამურენი პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს. სურათზე: სწრაფდაშვებაში გამარჯვებული სპორტის ოსტატი ა. ფილატოვი დისტანციაზე.

ფოტო ქ. კრიმსკისა.

მეცხვარის ცხენი

სოსო იორამაშვილი

კაი ხნის ამბავს მოგახსენებთ. იპოდრომი მაშინ ჯერ ისევ დიდუბეში იყო და იმ იპოდრომის ვარსკვლავებად ერთი ტანმორჩილი მეგრელი მხედარი — გვარად ხაინდრავა და ერთიც ოქროსფერი ულაყი „ორბი" ითვლებოდა. დოღის მოყვარულთ ალბად კარგად ეხსომებათ ეს სახელები. ვინ არ სდებდა ნიძლავს ამ ორი მოფრენალის სახელზე და ვინ დაეჭვდებოდა მათს გამარჯვებაში. თუმცა, ხდებოდა ხოლმე „სასწაულებიც". რა თქმა უნდა, უმთავრესად ეს „სასწაულები" მხოლოდ და მხოლოდ მხედრის მხრიდან გამომდინარეობდა და ალალმართალ მერანს ვერაფერს ვერ დასწამებდნენ. იგი ერთნაირი მონდომებით ცდილობდა ფინიშთან მისვლას. თუნდ გამოცდილი მხედარი მჯდარიყო მასზე და თუნდ გამოუცდელი ბავშვი. უყვარდა „ორბს" ფინიშთან პირველად მისვლა და გამარჯვების შემდეგ ის გამამხნევებელი ტაში, რომლითაც მას აჯილდოვებდნენ მაყურებლები. ისიც თითქოს ადამიანიაო, ისეთი კმაყოფილებით იყურებოდა ხალხისაკენ და რიტმიულად გოგავდა მუსიკის ტაქტზე.

ხოლო მისი მხედარი ხაინდრავა კი, როგორც მოგახსენეთ, ეჭვსა ბადებდა ხალხში... ვერ გაეგოთ, რა უფრო უყვარდა მას, ფინიშთან პირველი მისვლა, თუ...

ბევრჯერ მომხდარა ისე, რომ ნამდვილ ჯაგლაგზე მჯდარი ხაინდრავა პირველი მისულა ფინიშთან. და ხდებოდა პირიქითაც — მჯდარა საუკეთესო ცხენზე და უკან ჩამორჩენილა... მაგრამ ამაზე კვლავ, როდისმე...

ერთ წელიწადს, როდესაც ჩვენს მიერ ხსენებული „ორბი" საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყო, აფხაზეთის ცხენსაშენიდან ჩამოუყვანეს მას მეტად საშიში მეტოქე — ლურჯი ხალებით მოფორაჯებული თეთრი ულაყი, რომელსაც სახელად „ენგური" ერქვა.

ცხენების მოყვარულთ ამ შეხვედრის ამბავი ერთი თვის წინათ გაეგოთ... კამათობდნენ, მსჯელობდნენ, არკვევდნენ ცხენების გენეალოგიას, იცავდნენ თავიანთ არგუმენტებს და იყო ერთი დაუსრულებელი დავა.

ცხენების მცოდნეთა კამათით დაინტერესებულნი, არამცოდნენიც წახალისებულიყვნენ და შეჯიბრების დღეს დიდუბე ვეღარ იტევდა მოზღვავებულ ხალხს... საამური სანახავს წარმოადგენდნენ მწვანე ხავერდგადაკრულ იპოდრომზე თავისებურად საგანგებოდ ჩაცმული თბილისელნი.

აი დაიწყო ცხენების პარადი: მუსიკა უკრავს, ულაყები ლაგამებს ტკაცუნებენ და ომახიანად ჭიხვინებენ, ფრუტუნობენ ჭაკები საპასუხოდ და ტლინკაობენ; იგრიხებიან ორ-სამწლიანი კვიცები და უჩვეულო ჟრიამულზე ფრთხებიან.

მაყურებელთაგან ამ სურათს ყველაზე უფრო სამხედრონი და ყოფილი სამხედროები განიცდიან: სახეები უბრწყინავთ, შორიდან ელერსებიან ცხენებს და ეფერებიან. განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყოთ ცხენოსანი პოლკის ყოფილ მრავალგზის ჩემპიონის, წაბლისფერ ულაყის „ყარა გიორგის" გამოჩენაზე, რომელსაც ბევრჯერ ესახელებინა პოლკიც და თავისი მხედარიც, მაგრამ ეს წინათ. ახლა კი იგი სისხლმაჭარა ულაყებში ბებერი ჰამპულასავით კარკლავდა სხივჩამქრალ თვალებს და მართლაც იმ მოხუცს წააგავდა, რომელსაც არ უნდა ახალგაზრდებს დაუთმოს პირველობა, ხოლო ამისათვის ძალა კი აღარ შესწევს.

პირველად დოღი მცირე მანძილზე, ე. ი. იპოდრომის ნახევარი წრის შემოვლით, მცირეწლიანი კვიცების შეჯიბრებით დაიწყო. შემდეგ უფრო მოზრდილი კვიცები შეაჯიბრეს მთლიან წრეზე, და ბოლოს, სრულასაკოვანი ცხენები გამოჰყავდათ ორ წრეში.

ყველა ამ შეჯიბრებას „ორბისა" და „ენგურის" თაყვანისმცემელნი ისე უყურებდნენ, თითქოს უსიამოვნო ბეგარას იხდიანო და მოუთმენლად ელოდნენ მინდორზე თავიანთი ფალავნების გამოსვლას. ბოლოს მათი ჯერიც დადგა.

ის ჰიმნი, რომელიც ყოველი შეჯიბრების დროს ისმოდა, მუსიკამ შესცვალა რაღაც ახალი ჰიმნით. თითქოს ათასი ფრინველი ერთად აფრენილაო, იგრიალა ტაშმა ტრიბუნის მარჯვენა მხრიდან და თანდათან გავრცელდა ტრიბუნის მარცხნივაც.



ნახატი ზ. ლეჟავასი

• • •

ორ-ორი კაცს გამოჰყავთ ჩვენთვის უკვე ნაცნობი ფალავნები. მხედრები სადოღე კოსტუმებში გამოწყობილნი შორიახლო მოჰყვებიან თავიანთ მერნებს. ტაშის ცემა უფრო ძლიერდება. მუსიკა გრიალებს. „ორბი" გაბარჯღული ნაბიჯებით მიდის და დიდი ხნის ნაცნობებსავით უყურებს ხალხს ცეცხლოვანი ჭკვიანი თვალებით. შვენის მუქ ოქროსფერ მერანს შუბლზე პატარა ნიშა... ალბათ ამ თეთრმა ნიშანმა თუ გაახსენა ვაჟას სიტყვები იქვე მდგომ პოეტების ჯგუფში ერთ პირხმელ ახალგაზრდას, რომელმაც „ორბის" მიმართ წარმოსთქვა ამხანაგების გასაგონად:

„ირემს ჰგავს მინდვის წითელი
შუბლითა მთვარიანითა"-ო...

„ენგური" კი, თითქოს ნიავს თეთრი ნისლი მოაქვსო. მოქევქეობდა და ისე მსუბუქად ეხებოდა მიწას, რომ მნახველს ეგონებოდა ქულა წიწილსაც არაფერს ავნებს ეს ამოდენა ცხოველიო. შორი ახლოს მას მისი მომვლელი ასდევნებოდა, — პატარა, ჩიატანის კაცი, ზოლებიანი გრძელი ახალუხით, გადაპარსული წოწოლა თავიანი მეგრელი, თუ აფხაზი. იგი გრძნეულივით აცმაცუნებდა ტუჩებს და თვალმოუცილებლად უყურებდა „ენგურს", იმოდენ ზღვასავით ხალხს სრულებით ვერ ამჩნევდა, მუჯლუგუნებით მიიკვლევდა გზას და თავს თეთრონს ლანდივით მისდევდა; ხანდახან მის მოქიშპე „ორბს" გადახედავდა ხოლმე...

ცხენებს რომ შეასრულებინეს საჭირო რიტუალი და სტარტისაკენ უპირებდნენ წაყვანას, გრძელსახალოხიანმა „ენგურთან" მოინდომა მისვლა, მაგრამ არ გაუშვეს. იხვეწებოდა: „დაჩვეული მყავს, ერთ კვნიტ შაქარს მივცემ შეჯიბრების წინ და მეტი არაფერიო"...

„ენგური" და „ორბი" უკვე სტარტზე ტოკავდნენ. გრძნობდნენ თუ რისთვის მოსულიყვნენ იქ და ტანმორჩილი მხედრები ძლივსღა უჭერდნენ თავს ბედაურებს.

აი, დაეშვა სასტარტო ალამი. ორი მერანი მოსწყდა ადგილიდან. მუსიკა გაჩუმდა და უცბად ისეთი სიჩუმე ჩამოწვა ტრიბუნაზე, რომ გეგონებოდათ სუნთქვაც კი შეაჩერეს მაყურებლებმაო...

მანამდე ნისლივით მოქანავე „ენგური" თითქოს გრიგალმა გაიტაცაო, ელვასავით გაკრთა, მაგრამ გამოცდილი მხედარი და ზოგჯერ თაღლითი ხაინდრავა, ახლა არც თავის თავს უღალატებდა და არც „ორბს" გაიმეტებდა შესარცხვენად. უცბად ცხენს სადავე მიუშვა და მარცხნივ, წრის შიგნიდან მიუგდო მოწინააღმდეგეს. ოქროსფერი ბედაურიც მიუხვდა მხედარს და ისეთი კამარა შეჰკრა უცებ, რომ თითქოს ნაპერწკლები გაჰყარაო. მაგრამ აფხაზურამ მაინც იმძლავრა და მთელი ცხენის სიგრძე მანძილით ჩამოიტოვა „ორბი".

ხალხი წამოიშალა ადგილიდან. ყველას უნდა იმაზე უკეთესად დაინახოს, ვიდრე ხედავს. აქა-იქ გაისმა „ენგურის" მომხრეთა გამამხნევებელი ტაშის ხმა, წამოძახილები...

პირველ მოსახვევში ნახევარი ცხენის მანძილი მოიგო ხაინდრავამ. მღელვარება უფრო მატულობს მაყურებლებში. ახლა „ორბის" მომხრენიც გამოცოცხლდნენ...

აფხაზურა თეთრი გედივით თავაღებული მიაპობს ჰაერს, „ორბი" კი კისერწაწვდილი მიჰყვება გვერდით და მისი გავა მზის სხივებზე ოქროსფრად ლაპლაპებს.

ტრიბუნასთან იგივე მანძილი იყო დაცული მათ შორის—ნახევარი ცხენის სიგრძით უსწრებდა „ენგური".

ნუ თუ დღეს უნდა იგემოს პირველი დამარცხება საქართველოს ცხენსაშენების ფალავანმა „ორბმა"?

—მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, —უპასუხებდნენ „ენგურის" მომხრეები. მაგრამ ეს რომ მართლა ასე იყოს, ხაინდრავას სიმშვიდე რაღას უნდა მიეწეროს? რატომ ისიც „ენგურის" მხედარივით არა ღელავს?

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანის თოვლიან მიდამოებში

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ). აქ ჩატარდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მთხილამურეთა მეოთხე ტრადიციული შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 75-ზე მეტმა სპორტსმენმა.

„ლელოს" კორესპონდენტთან საუბარში შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა, სპორტის ოსტატმა ა. გვალიამ განაცხადა:

— წელს ბაკურიანში ძალიან გვიან დაზამთრდა და მცირე თოვლი საკმარისი არ იყო წვრთნისათვის, მით უმეტეს, რომ დეკემბრის უკანასკნელ რიცხვისათვის გათვალისწინებული იყო პასუხსაგები შეჯიბრების ჩატარება. მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, ეს შეჯიბრება დაწესებულ ვადებში გაიმართა და აღინიშნა ახალგაზრდა ოსტატ მთხილამურეების დიდი წარმატებით.

პირველ დღეს მთა მეხთამრადის წყვეტრად დაქანებულ ფერდობზე ერთმანეთს შეეჯიბრნენ სლალომისტები. საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონებმა მოსკოველმა დინამოელებმა ე. სიდოროვამ და ა. ფილატოვმა, უჩვენეს რა მაღალი ტექნიკა, კვლავ დაადასტურეს, რომ ისინი საუკეთესო სლალომისტები არიან საბჭოთა კავშირში. საპრიზო ადგილის რეალური შანსები მოეპოვებოდა სპორტის ოსტატ მ. გავას (საქართველო), რომელიც კარგ სპორტულ ფორმაში იმყოფება, მაგრამ პირველ ცდისას იგი აჩქარდა, წაიქცა და გამოვიდა ლიდერთა ჯგუფიდან. სამაგიეროდ სწრაფდაშვებაში, რომელიც კოხტაზე ჩატარდა, მან დაიკავა საერთო მეორე ადგილი მოსკოველ დ. როსტოვცევის შემდეგ.

ქალთა შორის სწრაფდაშვებაში ყველას აჯობა ა. ვასილიევამ (ლენინგრადი).

ორჭიდელთა შორის, სადაც ძლიერი ჯგუფი შეგროვდა, ყველაზე უკეთესი შედეგები უჩვენა პირველთანრიგოსანმა ე. ოსინცევმა (იჟევსკი), რომელმაც 18 კილომეტრი დაფარა 1:14.07 და მცირე ტრამპლინიდან გადახტა 38 და 40,5 მეტრზე.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს მოეწყო ხტომები დიდი ტრამპლინიდან. აქ ყველას აჯობა ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა — ვ. აფანასიევმა („დინამო", მოსკოვი), რომელმაც გასულ წელს ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მართალია ამ დღეს საუკეთესო შედეგი — 63,5 მეტრი — ჰქონდა ე. სამოხვალოვს (სვერდლოვსკი), მაგრამ აფანასიევმა ორი ნახტომით (თითო 61,5 მეტრი) მოაგროვა ქულების უკეთესი ჯამი და პირველ ადგილზე გავიდა.

შეჯიბრებამ, რომელიც მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა, გვიჩვენა ნიჭიერი ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ზრდა და ძველი ოსტატების შემდგომი წინსვლა.

ქუთაისი—ლენინაკანი

ქუთაისი. (ჩვენი კორ.). ამას წინათ ქუთაისს ესტუმრა ლენინაკანის ახალგაზრდა სპორტსმენთა დელეგაცია, რომელსაც ქალაქის ფიზკულტურელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

სომეხი და ქართველი სპორტსმენების შეჯიბრების წინ გამართულ აღლუმზე სიტყვებით გამოვიდნენ ლენინაკანის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ტოფჩიანი, ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჩოგოვაძე და სხვ.

ორი ქალაქის სპორტსმენთა შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 40 ჭაბუკმა და ქალიშვილმა. ასპარეზობა ტარდებოდა კლასიკურ ჭიდაობაში, კალათბურთსა და ტანვარჯიშში.

მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა შეჯიბრება ქალთა გუნდებს შორის კალათბურთში. ამხანაგური მატჩი დამთავრდა ქუთაისის სპორტსკოლის კალათბურთელთა გამარჯვებით — 29:28. კარგი შედეგი მოიპოვა ქუთაისის სპორტსკოლის ვაჟთა კალათბურთის გუნდმა, რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 73:50.

გუნდურ ჩათვლაში ტანვარჯიშში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისელი სპორტსმენები. პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობეს: ქუთაისელებმა ბ. ჩიკვაიშვილმა და ა. ჩარგეიშვილმა, ლენინაკანელებმა მ. მურადიანმა და ს. კოროლიოვამ.

ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჩოგოვაძემ სტუმრებს სამახსოვრო ვიმპელი გადასცა.

ბ. ბრძელიშვილი

მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში

სოხუმი. (ჩვენი საკ. კორ.). რაიონის სკოლების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებმა შეადგინეს არდადეგების დროს ჩასატარებელი ფიზკულტურული ღონისძიებების კალენდარი. მოსწავლეებს არდადეგების პერიოდში გათვალისწინებული აქვთ მოაწყონ შიდასასკოლო შეხვედრები ტანვარჯიშში, ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში, აგრეთვე შეჯიბრებები ძმთ და მშთ ნორმების ჩასაბარებლად.

გათვალისწინებულია სათხილამურო გადასვლის მოწყობა მთიანი რაიონის სოფლებში, სადაც დიდი თოვლი ძევს.

პ. ლეთოდიანი

„კოლმეურნის"
ინიციატივით

სამხრეთ ოსეთის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" საოლქო საბჭოს ინიციატივით სოფელ ერედვში კოლმეურნეთათვის მოეწყო დიდი სპორტული საღამო.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ძალოსნებმა — საქართველოს ჩემპიონმა კოლმეურნეთა შორის გ. ცერაძემ, აგრეთვე ს. ელბაქიძემ და მ. კოტაევმა.

საღამოზე ლამაზი აკრობატული ნომრებით გამოვიდნენ სტალინირელი სპორტსმენები. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მოსწავლე გოგონათა მიერ შესრულებულმა თავისუფალმა ვარჯიშმა.

ზ. ნადარაია

სტალინირის რაიონი.

ამერიკელთა რბენა დაბრკოლებებით გრძელ მანძილზე
(კორეის დღიურიდან)

ნახატი ი. თბილელისა



სტარტი... ...ფინიში

თავისუფალ დროს

პირველად

პირველად რუსულ ენაზე ჭადრაკის სახელმძღვანელო გამოიცა ივანე ბუტრიმოვის მიერ 1821 წელს.

პირველად რუსეთში საერთაშორისო ტურნირი მოეწყო 1909 წელს. გაიმარჯვეს ე. ლასკერმა და ა. რუბინშტეინმა.

პირველად სრულიად რუსეთის ჩემპიონატი („ოლიმპიადა") ჩატარდა მოსკოვში 1920 წელს. გაიმარჯვა ა. ალიოხინმა.

პირველად საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ოსტატის წოდება მიენიჭა პ. რომანოვსკის.

პირველად საბჭოთა კავშირში საერთაშორისო ტურნირი მოეწყო 1925 წელს (მოსკოვში).

იცით თუ არა თქვენ...

... რომ მსოფლიო ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღო 24 ძლიერ ტურნირში და 20-ჯერ დაიკავა პირველი ადგილი.

... რომ ყველაზე ახალგაზრდამ, 20 წლის ასაკში (1941 წელს), საბჭოთა კავშირში დიდოსტატის წოდება მიიღო მოსკოველმა ვ. სმისლოვმა.

... რომ საჭადრაკო ხელოვნების ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოეწყობილა ერთდროული თამაშის სეანსი ოსტატების წინააღმდეგ (1859 წელს). სეანსიორმა პოლ მორფიმ 5 პარტიიდან მოიგო 2, წააგო 1 და 2 ყაიმით დაამთავრა.

„ზედმეტი სვლა"

— ჩვენს პარტიაში თქვენ უკვე შესძლებით უპირატესობის მოპოვება! — უთხრა მსოფლიოს ჩემპიონმა ე. ლასკერმა ერთ-ერთ თავის მოწინააღმდეგეს ერთდროული თამაშის სეანსში.

— მე დიდად მოხარული ვარ ამით, — მიუგო გაკვირვებულმა პარტნიორმა.

— თქვენ მე კარგად ვერ გამიგეთ, — განაგრძო ლასკერმა, — საქმე იმაშია, რომ სანამ მე ცამეტი სვლა გავაკეთე, თქვენ მოასწარით თოთხმეტის გაკეთება.

თურმე ლასკერის მოწინააღმდეგემ დაფაზე ვარიანტების გარჩევისას ლასკერის არყოფნაში ზედმეტი სვლა გააკეთა.

კროსვორდი

შეადგინა **მ. ბუზალაძემ** (თბილისი).



ჰორიზონტალურად

3. მსაჯთა კოლეგია. 5. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი სპრინტერი. 6. ზამთრის სპორტული თამაშობა. 9. საჭადრაკო ტერმინი. 10. ახალგაზრდა ნიჭიერი მძლეოსანი ქალი. 11. ტანვარჯიშული მოძრაობა. 14. ასპარეზობის დასასრული. 15. ქართული ეროვნული თამაშობა. 17. ტანვარჯიშული იარაღი. 18. მსოფლიო რეკორდსმენი ქალთა შორის მძლეოსნურ ხუთჭიდში. 19. შეჯიბრების შედეგის საბუთი. 20. მოძრაობა ბირთვით. 25. სპორტულ შეჯიბრებაში ადგილის განმსაზღვრელი ნიშანი. 26. სამაგიეროს გადახდა. 27. გამოჩენილი ქართველი ალპინისტი. 31. ტანვარჯიშული ილეთი. 32. სპორტის ერთ-ერთი სახე. 33. ძალოსნური ილეთი.

ვერტიკალურად

1. მძლეოსნური იარაღი. 2. გარდამავალი სპორტული პრიზი. 3. სპორტული ჯილდო. 4. კარის აღება ფეხბურთში. 5. სრულიად სლავიანური ტრადიციული სპორტული შეკრება ჩეხოსლოვაკიაში. 7. ქართული ხალხური ცხენოსნობის სახე. 8. კალათბურთის ერთ-ერთი ძირითადი წესი. 12. სამთო-სათხილამურო სპორტის სახე. 13. დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 14. საბჭოთა დიდოსტატი. 16. ძალოსნური მოძრაობა. 21. სპორტის ერთ-ერთი სახე. 22. სპორტში მომეცადინეთა წრე. 23. მწვერვალი კავკასიონის ქედზე. 24. ველოსიპედისტთა ასპარეზობის ადგილი. 28. კალათბურთის ინვენტარი. 29. შეჯიბრების ეტაპი. 30. საქართველოს უძლიერესი მთხილამურე.

ჭადრაკი

ეტიუდი

გ. ნადარეიშვილი



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.

◆

ყოველი მხრიდან

⊙ მძლეოსნობაში საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა შემდეგი მსოფლიო რეკორდები: ზანგი დილარდისა 220 იარდზე თარჯრბენში — 22,3 წამი; ზატოპეკისა (ჩეხოსლოვაკია) 10.000 მეტრზე რბენაში — 29:02,6; მ. ჯაკსონისა (ავსტრალია) ქალთათვის 100 იარდზე რბენაში — 10,7; ბლანკერს-კოენისა (ჰოლანდია) ქალთათვის 220 იარდზე რბენაში — 24,2; ფუქსისა (აშშ) ბირთვის კვრაში — 17,79 მეტრი.

⊙ უპსალაში (შვეცია) გერმანელმა მოცურავე ჰერბერტ კლეინმა 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით აჩვენა 2:31,8 (ევროპის რეკორდი). მანვე მოიგო 100 მეტრზე ცურვა—1:10,7.

⊙ მილანში გამართულ შეჯიბრებაზე იტალიის რეკორდსმენმა ტალიამ ურო ტყორცნა 55 მეტრსა და 30 სანტიმეტრზე. ორი მუდმივი მეტოქის — ევროპის უძლიერესი ბადროს მტყორცნელების კონსოლინის და ტოზის ორთაბრძოლა ამჯერად დამთავრდა ტოზის გამარჯვებით, რომელმაც აჩვენა 52,94 მეტრი. კონსოლინის შედეგია 51,47 მეტრი.

⊙ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც იტალიაში მოეწყო, ევროპის ჩემპიონმა ჰოლანდიელმა ფანი ბლანკერს-კოენმა გამარჯვება მოიპოვა 100 მეტრზე რბენაში (12,0) და 80 მეტრზე თარჯრბენში (11,4). ტალიამ ურო ტყორცნა 56,86 მეტრზე. 800 და 1.500 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა მაზრუკმა (საფრანგეთი) — 1:55,4 და 3:58,8.

⊙ ევროპის ჩემპიონმა ფილიპუტმა ტურინში გამართულ შეჯიბრებაზე 400 მეტრზე თარჯრბენში უჩვენა 51,8 წამი. ეს ევროპაში 1950 წლის სეზონის საუკეთესო შედეგია.

⊙ პოლონეთისა და ბულგარეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩში გაიმარჯვეს პოლონელებმა — 94:73.

⊙ უნგრეთის ჩემპიონმა „ჰონვედმა" დაამარცხა ქ. სოფიის (ბულგარეთი) ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ანგარიშით 4:1. გამარჯვებულთაგან 2-2 ბურთი გაიტანეს მარჯვენა შუამარბმა კოჩიშმა და მარცხენა შუამარბმა პუშკაშმა. უნგრელთა კარში ერთი ბურთი გაიტანა მარჯვენა გარემარბმა მილანოვმა.

⊙ სოფიაში მოეწყო ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭიდავეთა მატჩი. ყველა შეხვედრა დაძაბული ბრძოლებით აღინიშნა და დამთავრდა ფრედ — 4:4.

⊙ ინგლისისა და ირლანდიის ტრადიციული ფეხბურთის მატჩი, რომელიც ბელფასტში შედგა, დამთავრდა ინგლისელთა სასარგებლოდ — 4:1.

⊙ გრაცში (ავსტრია) ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და ავსტრიის მოკრივეთა ეროვნული გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4.

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის პარასკეობით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, II სართული. ტელეფონი 3-90-34.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000
უე 01203